№2748 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების, რომლებიც ჩარიცხულნი არიან აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2015-2016 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის 2015 წლის 7 დეკემბრის №14 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების, რომლებიც ჩარიცხულნი არიან აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2015-2016 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების უზრუნველყოფა პროგრამული დაფინანსების ფარგლებში და ამ მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**